 ვის ბალახნარი) რაოდენობრივად ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეობად ითვ-
 ლება (დომინირება 28,83%), ხოლო ცხრაწყაროს ილპური ზონის ბიოცენოზში
 ის მცირე რაოდენობით გვხვდება (დომინირება 1,58%). ამიტომ სახეობის მნი-
 შვნელობის შედარებისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს მისი რაოდენო-
 ბრიობაც.

IV. დასკვნა

1. პალეარქტიკული გავრცელების მქონე მწერ-ფიტოფაგის შედარებითი
 ევრობიორულობა განცდობრივი განლაგებისას შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ
 სამედო მაჩვენებლად მისი შედარებით ევრობიორულობისა ვერტიკალურ გან-
 ლაგებაში.

2. პალეარქტიკული გავრცელების მქონე განცდობრივი განლაგებისას შე-
 დარებითი ევრობიორული მწერები-ფიტოფაგები თითქმის ევრიზონალურე-
 ბის საქართველოში გრძელიყალური განლაგების მხრით. მათ შორის უფრო ხში-
 რად აღინიშნება ლინეასეული სახეობები, რომელთა რაოდენობრიობა ზონე-
 ბისა და ბიოცენოზების მიხედვითაც კი სხვადასხვაგარია.

3. პალეარქტიკული გავრცელების მქონე მწერ-ფიტოფაგის როგორც ფარ-
 თო ჰირიზონტალური გავრცელება, ასევე ფართო ვერტიკალური განლაგება შე-
 იძლება ჩაითვალოს სახეობის შედარებით მეტი ექოლოგიური ვალენტინების
 ერთ-ერთ სამედო მაჩვენებლად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 ზოოლოგის ინსტიტუტი
 თბილისი

თბილისის სახელმწ. პედაგოგიური
 ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 5.3.1947)

ფიზიოლოგია

ა. რობერტაცი

ბაჟაყის სუნთქვითი ცენტრის მოქმედების ცვალებაზობა საერთო
სპონტანურ მოძრაობასთან დაკავშირებით

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ი. ბერიტაშვილმა 23.11.1946)

ბაჟაყის სპონტანურ მოძრაობებსა და სუნთქვით ცენტრის შორის კავ-
შის პირველად ვედენს კამ მიაქცია ყურადღება [1]. ეს საკითხი ამჟა-
მადაც იქცევს ყურადღებას [2]. სუნთქვითი მოძრაობების მრუდეთა შესწავლამ,
რომელთა ჩაწერაც წარმოებდა გარეგან გალიზიანებათა მოქმედების გარეშე,
ზოგიერთი ახალი ფაქტის დადგენის შესაძლებლობა მოგვცა, რომელნიც ეხე-
ბიან, ერთი მხრივ, ბაჟაყის სუნთქვითი ცენტრის პერიოდული ცვალებაზობის
საკითხს და, მეორე მხრივ, სუნთქვითი ცენტრის მოქმედებასა და ე. წ. საერთო
სპონტანურ მოძრაობებს შორის კავშირს.


1. მეთოდი

პირის ღრუს ფსკერის მოძრაობების რეგისტრაცია წარმოებდა მიოგრა-
ფიულად, როგორც ეს ჩვენ მიერ იყო აღწერილი [3]. ცხოველის თავი არ ფიქ-
სირდებოდა. ცდის დაყენებისას გამორიცხული იყო გარეშე ვიბრაციული გა-
ლიზიანებანი (სიარულით გამოწვეული შერყევები), აგრეთვე მხედველობითი
(კაბინაში სინათლეს ვთიშვდით) და სმენითი გალიზიანებანი. თუ ცდები ხან-
გრძლივი იყო, დროდადრო წარმოებდა ბაჟაყის კანის შესველება.

2. შედეგები

თუ სუნთქვითი მოძრაობების ჩაწერა ხანგრძლივად წარმოებს, ადვილი
შესაჩინევია ამ მოძრაობათა ცვლილება ამბლიტუდის და სიხშირის, აგრეთვე
დიდ (ფილტვების სუნთქვითი მოძრაობები) და მცირე (ოსცილაციები)
ტალღათა მორიგეობის ხასიათის მხრივ. ამ ცვლილებათა ანალიზი საშუალე-
ბას გვაძლევს, რომ სუნთქვითი მოძრაობები სერიების მიხედვით განვითაროთ.
ამავე დროს ყოველ სერიაში უნდა შეკიდეს ყველა სუნთქვითი მოძრაობა ცხო-
ველის ერთი საერთო სპონტანური მოძრაობიდან მეორებმდე (ნაბ. 1). ცხოვე-
ლის საერთო მოძრაობათა შორის დროის პერიოდები ზოგიერთ შემთხვევაში
საოცარი მუდმივობით გამოიჩინება, რასაც თავის დროზე ვედენს კი ალ-

ნიშნავდა. ამ შოვლებას ადგილი აქვს, თუ ბაყაყი ქინძისთვებით არის დამაგრებული, ე. ი. თუ არსებობს მტკიცებული გაღმიშიანების წყარო. ასევე ხდება, რომა ცხოველის თავის არანორმალური მდებარეობა აქს, როგორც მას ადგილი ჰქონდა ვედენსკის ცდებში. მოყვანილ შემთხვევაში საერთო მოძრაობათა შერის დროის ინტერვალები მეტად განსხვავებული იყო: 6 მინუტი-დან 42 მინუტამდე.



ნახ. 1. სუნთქვითი ტალღები, რომელიც ჩატერილია გარევანი გალიზიანების გარეშე. A—სუნთქვითი ტალღების სერიის ბოლო, B—სუნთქვითი ტალღების სერია, C—მორიგი სერიის დასწყისა.


ფრჩხილებში ჩასმული ციფრები აღნიშნავს სუნთქვითი მოძრაობის რაოდენობას 20 სეკ. გან-მავლობაში. დრო სკანდალითა გამოხატული.

სუნთქვითი მოძრაობების თითოეული სერია ხასიათდება განსაზღვრული ტიპის მრუდით, რომელშიც ადგილი აქვს დიდი და მცრავ ტალღების შედარებით მუღმიცე ხასიათის მქონე მორიგეობას. ყურადღებას იქცევს სუნთქვითი მოძრაობების ამპლიტუდა თანდათანმდით ნელ-ნელა შემცირება. როდესაც სუნთქვითი ტალღების ამპლიტუდა აღწევს ერთვის მცირე სიციდეს, მაშინ ადგილი აქვს საერთო სპონტანურ მოძრაობებს, რომელიც იწყება ბაყაყის თავის მოძრაობით. ამ საერთო მოძრაობებს მოჰყება სუნთქვითი მრუდის ხასიათის შეცვლა. ჩნდება სუნთქვითი მოძრაობის ახალი სერია, რომელიც მორიგი საერთო მოძრაობის გაღლენით ისპობა. ნახ. 1 განხილვისას იქნება შთაბეჭდილება, თითქოს სუნთქვითი მოძრაობების ცელილება ბაყაყის უავის მდებარეობის შეცვლასთან იყოს დაკავშირებული.

საერთო სპონტანურ მოძრაობანი მთელ რიგ შემთხვევებში განსაზღვრავნ სუნთქვითი მოძრაობის ახალი სერიის გაჩენას და, გარდა ამისა, ისინი უშეუალო იწვევინ სუნთქვითი მოძრაობებისათვეს დამახასიათებელ ცელილებებს. ვეღძნსკიმ [1] შეამჩნია, რომ ლოკომოტივის განვითარებას წინ უსწრებს სუნთქვის პაუზა (მის მიერ მოყვანილ მრუდეთა უმრავლესობაში მხოლოდ ფილტვების სუნთქვის რეგისტრაცია ხდებოდა). Babak-ი [4] აღნიშნავდა, რომ სუნთქვითი ოსკალციების გამოჩენისათან ერთად მოსალოდნელია იდგილი ჰქონდეს ბაყაყის რომელიმე მოძრაობას. ყურადღებით დაკვირვებისას აღმოჩნდა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში საერთო სპონტანურ მოძრაობებს წინ უსწრებს სუნთქვითი ტალღების რამდენიმე წევდა, რომელთა ამპლიტუდაც თანდათანობით შემცირებას განიცდის (ნახ. 2, A). ეს პერიოდი მოყვანილ შემთხვევაში გრძელდება 7 სეკ. სუნთქვითი მოძრაობების ეს დაკინება წარმოებს დიდი წესზო-

ბაყაყის სუნთქვითი ცენტრის მოქმედების ცვალებაზობა...


შეირებითა და თანდათანობით. მოძრაობათა ერთბაშად აღმოცენება ხდება მაშინ, როდესაც სუნთქვითი მოქმედება მაქსიმალურად არის დაკინებული. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთ საერთო მოძრაობას სწრაფად მოჰყვება მეორე, ორ მოძრაობას შორის ინტერვალში ვხედავთ გრძელ წყებას სუნთქვითი ტალღებისას, რომლებიც თანდათანობით სუსტდება (ნახ. 2, B). თუ



ნახ. 2. A.—სუნთქვითი მოძრაობის ცვალებაზობა ცხოველის საერთო სპონტანური მოძრაობის დაწყებამდე, დრო—1,5 სეკ.; B.—სუნთქვითი მოძრაობების ცვალებაზობა ცხოველის ორი საერთო სპონტანური მოძრაობის ინტერვალში, როდესაც ერთ საერთო მოძრაობას სწრაფად მოჰყვება მეორე. ცხოველის საერთო მოძრაობა აღნიშნულია ორი ჯვრით; თავის მოძრაობა აღნიშნულია ერთი ჯვრით.

განაპირა ტალღების უმაღლეს წერტილებს შევაერთებთ სწორი ხაზით, მაშინ ყველა შუამდგებარე ტალღის მწვერეალები მოთავსდებინ ამ სწორზე, რაც მაჩვენებელია იმისა, თუ რა წესზომიერებით ხდება სუნთქვით მოძრაობათა სულ უფრო და უფრო დაკნინება.

ვედენსკიმ [1] იღწერი დიდი სიძლიერის ე. წ. „ჩაბერვითი“ სუნთქვითი მოძრაობები, რომელიც ლოკომოცის წემდეგ ჩნდებოდნენ. მართლაც, საერ-



ნახ. 3. სუნთქვითი მოძრაობები ცხოველის საერთო სპონტანური მოძრაობის შემდეგ. საერთო მოძრაობის დამთავრება აღნიშნულია ჯვრით. დრო სუსტდებითაა გამოხატული.

თო მოძრაობების შეწყვეტას ხშირად მოჰყვება დიდი ამპლიტუდის ერთი, ორი და მეტი ტალღა. მაგრამ ყურადღებას იპყრობს შემდეგი ფაქტი. ოსცილაციების წყება, რომელიც საერთო მოძრაობას მოჰყვება, თანდათან უთმობს ალგილს დიდ ტალღებს. ასე, მაგ., როგორც ჩანს ნახ. 3-ზე, ეს პროცესი შემდეგნაირად წარმოებს: საერთო მოძრაობა → 3 ოსცილაციისაგან შემდგარისალიან პატარა ამპლიტუდის ჯგუფი → 29 ოსცილაციისაგან შემდგარისერია → ცალკეული დროზე ტალღების გამოჩენა, რომელიც ერთმნეთისაგან შემდგარი ჯგუფებით არიან გამოყოფილი → 2-3 დიდი ტალღისაგნ შემდგარი ჯგუფები, რომელიც ერთმანეთისაგან 3, 2, 1 ოსცილაციით არიან გამოყოფილი — მყარი რიტმი: 3—4 დიდი ტალღისაგან შემდგარი ჯგუფები ერთმანეთისაგნ გამოყოფილ ცალკეული ოსცილაციებით.

3. განხილვა

წინა მოხსენებაში [3] გავარკვით ბაყაყისათვის დამახასიათებელი ორიტიპის სუნთქვითი მოძრაობების მიზეზი. მოყვანილი იყო აგრეთვე იმის საბუთებიც, რომ ოსცილაციები წარმოადგენენ შეკავებულ სუნთქვით მოძრაობებს, რომ ოსცილაციების რიტმი შეკავების მდგრამარეობაში შეიძლება ბაყაყის სუნთქვითი ცენტრის გარეგან გამოვლინებას წარმოადგენს.

აქედან გასაგები ხდება სუნთქვის ის დამახასიათებელი თავისებური ცვლილებები, რომელიც ცხოველის საერთო სპონტანური მოძრაობის დროს აღმოცენდება. საერთო სპონტანურ მოძრაობები შეიძლება წინ უსწრებდეს სუნთქვისას სულ უფრო და უფრო გაძლიერებული შეკავების შედარებით გრძელი პერიოდი. მოძრაობათა ერთბაშიდ გაჩერა ხდება მაშინ, როცა სუნთქვითი ცენტრის მოქმედება მაქსიმალურად არის შეკავებული. საერთო მოძრაობის შემდეგ სუნთქვითი ცენტრის შეკავებული მოქმედება თანდათან უთმობს აღილს მის აღმატებულ აქტივობას. მაშასადამე, ცხოველის საერთო მოძრაობათა ცენტრის მოქმედება შეკავებს სუნთქვითი ცენტრის მოქმედებას. ეს შემაკავებელი გაფლენა მეღავნდება ბევრად უფრო ადრე საერთო მოძრაობის დაწყებამდე; იგი ამავე დროს შეიძლება გრძელდებოდეს რამდენიმე ხანს მოძრაობის გათავების შემდეგაც.

სუნთქვითი მოძრაობის ის სერია, რომელშიც შედის სპონტანურ მოქმედებით შორის არსებული სუნთქვითი მოძრაობები, ხსიათდება ამ მოძრაობათა ამპლიტუდის თანდათანობით შემცირებით, რომელიც გრძელდება ათეული მინუტების განმავლობაში. ამრავდა, გარეგან გაღიზიანების გარეშე სუნთქვითი ცენტრის აქტივობა თანდათანობით შესუსტებას განიცდის. მორიგი საერთო მოძრაობის შემდეგ აღილი აქვს სუნთქვის მოქმედების გაძლიერებას. ეს პირობადებულია დღათ იმ მრავალრიცხვანი იმპულსებით ტაქტილური რეცეპტორებიდან და ლაბირინტებიდან, რომელთა წარმოშობაც ბაყაყის თავისა და კიდურების მოძრაობასთანაა დაკავშირებული საერთო მოძრაობის დროს. როგორც ჩანს, აფერენტული იმპულსაციის განსაზღვრული ნაკადის გარეშე სუნთქვითი ცენტრის სპონტანური აქტივობა თანდათანობით სუსტდება..

അമ മൊസാഥ്രേഡാസ് അഡാസ്റ്റുർഡിസ് Bremer-ൻ, Claes-ൻ ദാ സഭാതാഖ്രമേഡിൻ.

രൂഗമന്ത്രി നാരിയേഡി റൂഗ, സൗഖ്യത്വിനി മന്ത്രാനുബിൻ ശ്രീജി നാരിയേഡിശ്രീ ശ്രീപഠ്ളേഡാ എന്നിൻശ്രീൻ റൂഗിഡി ദാ മഹിരു ത്രാല്ലേഡിസ് മന്ത്രിഗൈനുബിൻ സഭാതാഖ്രാഡാഗവാർഡിൻ ക്രമിഡിനാപ്രാഡാ. മന്യുവാനിഡി ടോക്കുഡിഡിസ് താംബാഡി, ചുവേലാ ഇം വാർഹാപ്രാഡാ ശ്രീപഠ്ളേഡാ ഏരി മൃഖരിഗുഡി ഗാഞ്ചുലാഗനം, രമ്മിഡിസ് ഗാഞ്ചാപിരാ ടോക്കുഡിഡി ചാർമ്മാഡഗേഡിൻ, ഏരി മെരിനു, റാഗി അമ്പിലാറുഡിസ് ത്രാല്ലേഡിസ് ഉച്ചുവേർ റിറ്റിഡി ദാ, മഹിരു മെരിനു, ഒസ്പിലാപ്രിഡിസ് ഉച്ചുവേർ റിറ്റിഡി. ശ്രീജൈഡേഡി ഡാിഗാവേഡിൻ ഗാർഡാമഗാഡി സാബുക്കു-ഡിഡി. ഹീന മീരു ഗാഞ്ചിനാരുഡുഡി മൊസാഥ്രേഡിഡി മിക്കേഡും, ചുവേലാ ഇം ഗാർഡാമിവാ-ഡി സാബുക്കുഡി മാരിയേഡിഡേഡി സൗഖ്യത്വിനി പ്രേമരിൻ സഭാതാഖ്രാഡാ ബാരിഡിഡി ശ്രീ-ജുഡിസാ. ഒസ്പിലാപ്രിഡിസാ ദാ ടോല്ലുഡേഡിസ് സൗഖ്യത്വിൻ ഉച്ചുവേർ മന്ത്രിഗൈനുബിൻ. അഡാ-റുഡേഡിസ് റുഗിഡിസ് ലൈറ്റോഗാൻി നാഥിലിഡി നേരിനുഡിലിഡി ഏത്തിംഗുരി മുഡുമാർജുഡിഡി-സ്രാണ്ടേഡാഡാഡാ, റാമ്മുഡാഡാപു ശ്രീജാവേഡിഡി ലൈറ്റോഗിഡി നേരിനുഡിലിഡാംഡാ ദാജുവു-ഡേഡുഡി.

ഡ അ സ ക വ ന റ

1. ഗാർഡാഗാൻി ഗാലിഥിാന്നേഡിഡി ഗാർഡീം സൗഖ്യത്വിനി മന്ത്രാനുബിഡി കാഡാതാ റിസ-
ഗലേഡാ ഫോറാഡരു, പ്രേമവേലിഡി സാജ്രതനം സ്കോട്ടാന്റു മന്ത്രാനുബേദതാൻ ഡാജാ-
ഷിന്റേഡിനി.

2. ഗാർഡാഗാൻി ഗാലിഥിാന്നേഡിഡി ഗാർഡീം അഡഗിലി ഏവു സൗഖ്യത്വിനി പ്രേമരിൻ-
മന്ത്രിമേഡേഡിഡി താന്ദരാതാനുബിഡി ശ്രീജുഡിഡാഡാ.

3. സാജ്രതനം സ്കോട്ടാന്റു മന്ത്രാനുബേഡിഡി ശ്രീപഠ്ളേഡാ ടിന് ഉച്ചുവേർഡൈസ് സൗഖ്യ-
ത്വിഡി ശ്രീജാവേഡിഡി ശ്രീഡാരുഡിഡി ഗ്രീഡുഡി, റൂമൈലിപു താന്ദരാതാൻ ദിലോറ-
ഡേഡി. പ്രേമവേലിഡി സാജ്രതനം മന്ത്രാനുബിഡിഡി ശ്രീമുഡൈ സൗഖ്യത്വിനി ശ്രീജാവേഡു-
ലിഡി മുഡുമാർജുഡാ താന്ദരാതാൻ ചുതമുഡി അഗുഡി മുഡി അലിഡുഡു ഏത്തിംഗു-
ഡിഡി താന്ദരാതാൻ ശ്രീജുഡി നാഥിലിഡി നേരിനുഡിലിഡി ഏത്തിംഗുരി മുഡുമാർജു-
ഡിഡി ഉച്ചുവേർ പ്രാണ്ടേഡാഡാഡാ.

4. ഒസ്പിലാപ്രിഡിസാ ദാ ടോല്ലുഡേഡിഡി മന്ത്രാനുബിഡിഡി ഉച്ചുവേർ മന്ത്രിഗൈനു-
ബിഡി അഡാസ്റ്റുർഡേഡിസ് റുഗിഡി ലൈറ്റോഗാൻി നാഥിലിഡി നേരിനുഡിലിഡി ഏത്തിംഗുരി മുഡുമാർജു-
ഡിഡി ഉച്ചുവേർ പ്രാണ്ടേഡാഡാഡാ.

സാജ്രതഗ്രാഡിഡി സിർ മെപ്രെസിഡാതാ അക്കൗമിഡി
അബഡ. റ. ശ്രീരിത്രാശ്വിലിഡി സാഡ. ഫോറിനലുഗുഡിഡി ഇംസ്റ്റിറ്റുഡി
ടെഡിലിഡി

(രുഗാജുപ്രാഡി മിഷ്യുറി റിഡാ 20.12.1946)

დაოვნებული ლიტერატურა

1. N. Wedenski. Ueber die Athmung des Frosches. Pflüg. Arch. ges. Physiol., B. 25, 1881, S. 129.
2. X. C. Коштояни. О соотношениях функций вегетативных и аниальных органов в свете их эволюции. М.-Л., 1937.
3. А. Ройтбак. О причине наличия у лягушки двух ролей лыхательных движений. Сообщ. Академии Наук Грузинской ССР, том VIII, № 3, 1947.
4. E. Babak. Handbuch der vergleichenden Physiologie herausgegeben von Winterstein, Bd. I, H. 2, Jena, 1921, S. 706.
5. F. Bremer. L'activité „spontanée“ des centres nerveux. Bulletin de l'Académie Royale de Médecine de Belgique, IX, 1944, P. 148.
6. E. Claeys. Contribution à l'étude physiologique de la fonction visuelle. Arch. Internat. Physiol., XLVIII, 1939, P. 181.

მნათშვილის რეაცია

სისტემის შემთხვევა

მართული გოკალიზაცია

(წარმოადგინა აკად. ნაცდვ. ჭევრა გ. ახვლედიანმა 12.3.1947)

1. ქართულ ხმოვანთა პროფილების ზუსტად გამოსარკვევად გამოვიყენეთ ხელოვნური სასისა და რენტგენოგრაფიის მეთოდები [1].

ხელოვნური სასის მეთოდით, როგორც ცნობილია, შესაძლებელია ხმოვანთა წარმოთქმისას მაგარ სასახე ენის გვერდითი კიდეების შეხების საზღვრების გამორკვევა და ამით ირკვევა ენის მდგომარეობა ამა თუ იმ ხმოვნის წარმოთქმისას და ენის მაგარ სასახთან შეხების მიმართულება. ხოლო პირისა და ხახის ღრუებში ამა თუ იმ ხმოვნის წარმოთქმისას შექმნილი თავისებური სარეზონანსო არე რომ განგვევაზღვრა და ენის კონტიგურაციის სურათი მიგვეღო, რენტგენით გადაღება ვაწარმოვეთ [1].

როგორც ცნობილია, ხმოვანთა ტიპები ენების მიხედვით განსხვავებულია აკად. ლ. შჩერბას თავის „ხმოვანთა სხვადასხვა ტიპის“ ტაბულაში მოცემული აქვთ 48 ხმოვანი.


ო. ესპერესენს ოთხი სხვადასხვა ტიპის ა ხმოვანი აქვთ დაღვენილი: წინა (vorderste), ნეიტრალური (neutrale, „mittlere“), უკანა (hintere) და მოღუნებული (dumpfe) ა [2].

ქართული ა-ს წარმოთქმაშე ჩატარებულმა ჩვენმა ცდებმა გვიჩვენა, რომ იგი არტიკულაციურად წინ წამოწეული ტიპის ხმოვანია, ე. ი. ო. ესპერესენის მიერ მოხსენებულ პირველ ტიპს განეკუთვნება. ამ ხმოვნის შედარებით უფრო მეტი სიფართოვის გამო მისი შესწავლა მხოლოდ რენტგენოგრამული გზით იქნა შესაძლებელი.

2. ქართული ა ხმოვნის რენტგენოგრამა შემდეგს თავისებურებას გვიჩვენებს (ნახ. 1): ენის ჭვერით თავისისუფლად აქვთ ჭვედა საჭრელ მედალურ კბილებთან. ენის მთელი ტანი საგრძნობლად წინ არის წამოწეული. წინა და შეუ ენის ზურგის შესამჩნევად ამობურცვის გამო პირის ღრუს წინა ნაწილში სარეზონანსო არე შემცირებულია. ამიტომაა, რომ ქართული ა ხმოვნის ელცერი დანავ დახურული ხმოვნის შთაბეჭდილებას ახდენს. ასეთია ა სიტყვებში

1) ქართულ ხმოვანთა რენტგენოგრამები ჰესრულებულია თბილისის ბავშვთა სააგად-მცოფოს რენტგენის კაბინეტში. რენტგენის სურათების გადაღებაში მონაწილეობდნენ თბილისინგოლოგი ა. რ. ჩაზე გვეთავის, რენტგენოგრამი თამარ სანოვი და ტექნიკოსი ვ. ცოცხაძე.

დანა, დაბა, მამა და სხვ.. გარდა ამისა, ქართული ა-ს წარმოთქმისას ენის წინა ნაწილის კოვენისებური ოდნავი ჩაზნექილობა შეიმჩნევა.




ნახ. 1

ნავს, ბევრი რუსულში ა-ს უკინ წარმოთქვამს ([3], გვ. 37). ამის მიხედვით ირკვევა, რომ ქართული ა შესამჩნევად უფრო წინ წარმოებული ხმოვანია, ვიდრე რუსული ა¹.

ქართული ა-სა და რუსული ა-ს აუცილებელი და არტიკულაციური შედარების საფუძველზე ანილოგიური დასკვნა აქვს მოცემული გ. ა ხ ლ ე დ ი ა ნ ს ([4]). ამ შემთხვევაში გ. ახლედიანის მოსაზრებას საქსებით ადასტურებენ ჩენი ექსპერიმენტულ მონაცემები.

ქართული და სვანური ა-ს რენტგენოგრამების შედარებით ირკვევა, რომ მათ შორის შესამჩნევი განსხვავებაა. სვანური ა ნეიტრალური ტიპის ხმოვანია ([1], IX, ნახ. 3) (შედრ. დაბა, სვან. დაბ ყანა). ქართული და სვანური ა-ს ეს განსხვავება კარგად შეიმჩნევა, როდესაც ქართულის ცუდად მცოდნე სვანი ისეთ ქართულ სიტყვებს წარმოთქვამს, რომლებიც ა ხმოვნის შეცველია.

3. ქართული ე ხმოვნის წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარ სასასთან გარკვეულ კვალს ტოვებს. პალატოგრამით ირკვევა, რომ ქართული ე-ს წარმოთქმისას (ნახ. 2) შუა ენის ზურგი ა-სთან შედარებით იწევს



ნახ. 2

კიდევ უფრო მაღლა, სასის წინა ნაწილისაქნ, ხოლო ენის გვერდითი კიდეები მოიცავს მაგარი სასის გვერდებს მცირე ძირითადი პირველი წყვილი კბილებიდან ხელოვნური სასის ბოლომდის. ასეთია ე სიტყვებში: დევს, შევს, სცემს და სხვ.. ირკვევა, რომ ქართული ე ოდნავ დახურული და წინ წამოწეული ხმოვანია. ამიტომ არის, რომ ხმირად იგი დიალექტური დიფონიგოდად იქცევა (შედრ. გურ. ე რი კაცი).

ქართული ე-ს პალატოგრამის ლ. შეერბას რუსული „ე“ და ფრანგული „ე“-ს ([3], გვ. 34—35) პალა-

⁽¹⁾ სწორედ ამიტომ უშირად რუსები ქართულ ა-ს აკუსტიკურად აღიქვამენ როგორც რუსულ ფართო ე-ს.

ტოგრამებთან შედარება გვიჩვენებს, რომ ქართულ ე-ს საშუალო ადგილი უკა-
ვა რუსულის „ე“-სა და ფრანგულის „ე“-ს შორის: იგი არც ისე დახურულია, რო-
გორც რუსული „ე“, და არც იმდენად ღიაა, როგორც ფრანგული „ე“. ქარ-
თულ ა-ს წარმოთქმისას ენის წინა ნაწილის ზედაპირზე შენიშნული კოვჭისებუ-
რი ოდნავი ჩაზნექილობა ე-ს წარმოთქმისას კიდევ უფრო მეტი შესამჩნევია.

ქართული ე ხმოვნის რენ-
ტგენის სურათით (ნახ. 3)
ირკვევა, რომ ენის წერი,
მსგავსად ა-ს წარმოთქმისა,
ქვედა საჭრელ მედიალურ
კბლუბთან ძეგს. ენის ტანი
წინ არის წამოწეული ისე,
როგორც ა-ს წარმოთქმისას
იყო, ოღონდ ენის წინა და
შეუ ნაწილის ზურგი შესაბ-
რევად მაღლა აწეული ა-ს
წარმოთქმისათან შედარებით.
ამიტომ პირის ღრუს წინა



ნახ. 3


ნაწილში სარეზონანით ჰარე საგრძნობლადა შევიწროებული. ქართული
ე-ს ოდნავ დახურულობას რენტგენოგრამა საკუსტით ადასტურებს. საერთოდ,
რენტგენოგრამის სურათი საკუსტით ადასტურებს, რომლებიც პა-
ლატოგრამული გზით მივიღეთ ქართული ე-ს წარმოთქმისას.

ქართული ე-ს რენტგენოგრამის შედარება სვანური ე-ს რენტგენოგრა-
მისათან ([1], XI, ნახ. 12) გვიჩვენებს, რომ ქართული ე უფრო წინ წამოწეული
ხმოვანია, ვიდრე სვანური ე. ამ განსხვავებას ადასტურებს ქართული და სვა-
ნური ე-ს პალატოგრამების შედარებაც. კრიძოდ, სვანური ე-ს წარმოთქმისას
([1], I, ნახ. 2) იწყება ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარ სასასთან მცირე
ძირითადი მეორე წყვილი კბილებიდან და გრძელდება ხელოვნური სასის ბო-
ლომდის, მაშინ როდესაც ქართული ე-ს წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდე-
ების შეხება იწყება მცირე ძირითადი პირველი წყვილი კბილებიდან. გარდა
ამისა, ქართული ე-ს წარმოთქმისას ენის გვერდითი კიდეების შეხების სიფარ-
თოვე მაგარ სასასთან უფრო მეტია, ვიდრე სვანური ე-ს წარმოთქმისას.

ქართული ე-ს პროფილის შედარება რუსულის „ე“-ს პროფილთან გვიჩ-
ვენებს, რომ ქართული ე-ს პროფილი ძალიან უახლოვდება რუსული „ე“-ს
პროფილს სიტყვაში „უეი“ ([3], გვ. 33). რუსული „ე“ ყველაზე უფრო ფარ-
თო სიტყვაში „უეი“, მაგრამ ქართულს ასეთი ფართო ე თითქოს არ ახასია-
თებს (შრ. ს ცემს).

4. ქართული ე ხმოვნის პალატოგრამული სურათი (ნახ. 4) გვიჩვენებს,
რომ ენის ტანი საგრძნობლად უფრო წინა წამოწეული, ვიდრე ა-სა და ე-ს
წარმოთქმისას. გარდა ამისა, ენის წინა და შეუ ნაწილის ზურგი ე-სთან შე-
დარებით კიდევ უფრო მაღლა იწევს მაგარი სასის წინა ნაწილისაენ და უახ-
ლოვდება მას. ამიტომ ენის გვერდითი კიდეების შეხება მაგარ სასასთან ბო-


ლოდან თითქმის ეშვებასაც შოიცავს. ენის გვერდითი კიდეების მაგარ სასასთან შეხების სიფართოვეც ე-სოან შედარებით გაცილებით უფრო დიდია. ქართული ი-ს პალატოგრამის სვანური ი-ს პალატოგრამისათან ([1], 1, ნახ. 6) შედარებით ირკვევა, რომ ქართული ი-ს უფრო წინ წამოწეული ხმოვანია, ვიდრე სვანური ი.



ნახ. 4

და ფრანგული ი-ს პალატოგრამებთან ([3], გვ. 32) შედარება მათ შორის შესამჩნევ სხვაობას გვიჩვენებს.

ქართული ი ხმოვნის რენტგენოგრამის (ნახ. 5) მიხედვით ირკვევა, რომ ენის წვერი მიძღვნილია ქვედა საჭრელ მედიალურ კბილებთან. ენის წინა და



ნახ. 5

თული ი-ს პალატოგრამით მიღილეთ. ის ოდნავი ჩაზრდილობა წინა ენის ზედაპირისა, რომელიც ჩენ ა-ს წარმოთქმისას აღვნიშვნეთ და უფრო მეტად შეიმჩნეოდა ე-ს წარმოთქმისას. კიდევ უფრო თვალსაჩინო ი-ს წარმოთქმისას.

ქართული ი-ს რენტგენოგრამის სვანური ი-ს რენტგენოგრამისათან ([1], VII, ნახ. 20) შედარება გვიჩვენებს, რომ ქართული ი უფრო წინ წამოწეული ხმოვანია, ვიდრე სვანური ი.

ქართული ი-ს პროფილის ლ. შჩერბას რუსული „i“-ს პროფილთან შედარებით ([3], გვ. 31) ირკვევა, რომ რუსული ი-ს წარმოთქმისას შუა ენის ზურგი უფრო მაღლაა აწეული სასის კამარისაენ, ვიდრე ქართული ი-ს წარმოთქმისას. ამ შემთხვევაში სვანური ი-სა და რუსული ი-ს პროფილები ერთმანეთთან უფრო მეტ თვისისძრივ სიახლოეს ამჟღავნებენ, ვიდრე ქართული და სვანური ი-ს პროფილები.

5. ქართული ი-ს წარმოთქმისას პალატოგრამით (ნახ. 6) ირკვევა, რომ უკანა ენის ზურგი მაგარი სასის ბოლოზე შეხების გარკვეულ კვალს ტოვებს.


შუა ნაწილის ზურგი კიდევ უფრო აწეულია ზევათ მაგარი სასისაენ, ვიდრე ე-ს წარმოთქმისას, და ამიტომ პირის ღრუს წინა ნაწილში კიდევ უფრო შემცირებულია სარეზონანსო არე, ვიდრე ე-ს წარმოთქმისას იყო. ასეთია ი სიტყვებში: დიდი, თითო, შიში და სხვ.. ქართული ი-ს რენტგენოგრამის მონაცემები იდასტურებენ იმ შედეგებს, რომლებიც ქარ-

და ასეთი შედეგების დასახულება დასახულება არ არის.

ენის გვერდითი კიდეების შეხება მოცავს სიბრძნის კბილების არეს და ნაწილობრივ ძირითადი მეორე წყვილი კბილების არესაც. ქართული ო-ს პალტოგრამა ნათლად გვიჩვენებს, რომ ქართული თუ ფრთი წინ წამოწეული ხმოვანია, ვიდრე რუსული ი. პროფ.

ვ. ბოგორიცევი შენიშვნას, რომ მის წარმოთქმაში ზოგჯერ ხდება ენის უკანა ნაწილის შეხება სიბრძნის კბილების არეში და ზოგჯერ არა [5]. ქართული ო-ს წარმოთქმისას კი ასეთ რყევას აღვილი არა აქვს. შეხების კვალი მაგარ სასახე ყოველთვის მივიღოთ. აღსანიშვნაია, რომ სეანური ო-ს წარმოთქმისას, მსგავსად რუსული ი-ს წარმოთქმისა, ენის უკანა ნაწილის შეხებას მაგარ სასასთან აღვილი არა აქვს, ეს კი იმას ამტკიცებს, რომ სეანური თუ ფრთი უკან წარმოებული ხმოვანია, ვიდრე ქართული ო.

ნახ. 6



პალტოგრამულ მონაცემებს ქართული ო-ს შესახებ საფსებით აღასტურებენ რენტგენოგრამული მონაცემები. ქართული ო-ს რენტგენოგრამის (ნახ. 7) მიხედვით ირკვევა,

რომ ენის წვერი ოდნავ მოცილებული ქვედა საჭრელ მედიალურ კბილებს; ეს იმიტომ, რომ ენის ტანი ო-ს წარმოთქმისას უკანაა გადაწეული, მაგრამ არც იმდენადაა გადაწეული, როგორც სეანური ო-ს წარმოთქმისას ([1], XIII, ნახ. 24).




ნახ. 7

ქართული ო-ს წარმოთქმისას ხანის კედელსა და ენის უკანა ნაწილს შორის საქმიო სიდიდის სარტყონანსო არეა შექმნილი. ასეთია ო სიტყვებში: ორი, ოდა, სორთ და სხვ. გარდა ამისა, ქართული თუ ლინგვისტური დასტურული ხმოვანიცაა. აღბათ, ეს უწყობს ხელს დიალექტებში მის დიფთონგოიდად ქცევას (შდრ. ვორი, ვორმო, ვოცი და სხვ.).

ქართული ო თვისიბრივად დაახლოებით ისეთ მიმართებაშია რუსული ო-სთან, როგორშიც სეანურ ო-სთან არის. ლ. შჩერბას ალწერილობით ნორმალური რუსული თუ დიფთონგოიდურია. მისი ელფერი შემართვისას მოგვაგონებს ფართო ყ-ს და შემდეგ ეწყვობა ორგანოები ი-ს წარმოსათქმელად ([3], გვ. 47). რუსული ი ქართულ თუ სთან შედარებით ღრმად უკანანის მიერია. ქართული ო-სა და რუსული ი-ს არტიკულაციური განსხვავება აღნიშნული აქვს გ. ახ-ვლედიანს. ავტორი რუსულ ი-ს ქართულ ო-სთან შედარებით უფრო ფართო და უკანა ხმოვნად მიიჩნევს ([4], გვ. 185). რაც შეხება ბაგეების მოქმედებას


ქართული ო-ს წარმოთქმისას, იგი ოდნავ მომრგვალებული და სუსტად აქტიურია. საერთოდ, ქართულისათვის არ არის დამახსხიათებელი ბავშვების ენერგიული მოქმედება. ქართულ ო-ს დაახლოებით რუსულისებური ბავშვების აქტიურობა ასასიათვებს.

6. ქართული უ-ს წარმოთქმისას მავარ სასასთან ენის უკანა ნაწილის შეხების კვალი უფრო ფართო (ნახ. 8), ვიდრე ო-ს წარმოთქმისას. უ-ს წარმოთქმისას ენის საერთო მდგომარეობა დაახლოებით ისეთივეა, როგორც ო-ს წარმოთქმისას, ოღონდ ენის უკანა ნაწილის შურგი უფრო მაღლაა აწეული, ვიდრე ო-ს წარმოთქმისას. ენის გვერდითი კიდეები მოიცავენ სიბრძნის კბილებისა და ძირითადი კბილების მეორე წყვილის არეს. ასეთია, მაგ., უ სიტყვებში: უთო, ბუ, სული და სხვ.. ენის ასეთი მდგომარეობა ნათლად გვიჩვენებს, რომ უ საგრძნობლად ვიწრო ხმოვანი ას-თან შედარებით. ქართული უ-ს პალატოგრამის სვანური უ-ს პალატოგრამასთან ([1], ნახ. 10). შედარება გვიჩვენებს, რომ განსხვავება მათ შორის საგრძნობია. კერძოდ, სვანური უ-ს წარმოთქმისას ენის უკანა ნაწილი მცირე შეხების კვალს ტყევებს სიბრძნის კბილების არეში და ნაწილობრივ ძირითადი მეორე წყვილი კბილების არეში. ამით მტკიცდება, რომ სვანური უ უფრო უკან წარმოებული ხმოვანია, ვიდრე ქართული უ. ქართული უ ისევე წინ წამოწეული ხმოვანია, როგორც ქართული ო.



ნახ. 8

ქართული უ-ს რენტგენის სურათი (ნახ. 9) სავსებით ადასტურებს ჩვენ მიერ პალატოგრამული გზით მიღებულ შედევებს. უ-ს რენტგენოგრამაზე ნათლად ჩანს, რომ ენის წვერი იღნავ მოცილებულია ქვედა საჭრელ მედიალურ კბილების ისე. რომ ხახის არეში სამია სიღილის სარეზონანსო არეა შექმნილი,



ნახ. 9

თული უ-ს წარმოთქმისას. ქართული უ-ს პროფილი აგრეთვე შესამჩნევად გამსხვავდება ღ. შჩერბას რუსული ა-ს პროფილისაგან ([3], გვ. 44). რუსულ

ეს კი იმაზე მიუთითებს; რომ ქართული უ არ არის ღრმად უკანაენის-მიერი. ქართული უ-ს რენტგენოგრამის შედარება სვანური უ-ს რენტგენოგრამასთან ([1], XV, გვ. 31) გვიჩვენებს, რომ სვანური უ ღრმად უკანაენისმიერია. უკანა ენის ზურგიც უფრო მეტადაა მიღლა აწეული რბილი სასისაკენ, ვიდრე ქარ-

ს ღრმად უკანაენისმიერია. ამდენად იგი სეანურ უ-ს უფრო უახლოედება, ვიდრე ქართულ უ-ს. რაც შეეხება ბაგეების სურათს ქართული უ-ს წარმოთქმისას, ბაგეები ოდნავ მომრგვალებულია და უფრო წინა წამოწეული, ვიდრე ო-ს წარმოთქმისას. ბაგეების მოქმედება ქართული უ-ს წარმოთქმისას ისევე სუსტია, როგორც ო-ს წარმოთქმისას.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართულ ბმოვანთა პალატოგრამებისა და რენტგენგრამებით მიღებული შედეგები საესებით ადასტურებენ და ავსებენ ერთომეორის ჩევნებებს. ის ფაქტი, რომ ქართული ა შესამჩნევად წინ წამოწეულია ხმოვანია, უკვე განსაზღვრავს წინა რიგის ხმოვნების ე, ი-ს არტიკულაციურად წინ წარმოებას. ამ მხრივ გარკვეული კანონზომიერება იქნა ჩვენ მიერ შემჩნეული ქართულ უკანა რიგის ხმოვანთა წარმოებაშიც. ტიბოლოგიურად ქართული ო-და უ უფრო ნეიტრალური წარმოების ხმოვნებაა, ვიდრე ღრმად უკანა ნაგნისმიერნი.

გარდა ამისა, ჩვენი ცდების მიხედვით ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი გამოირევა: მიუხედავად იმისა, რომ ქართული და სეანური ენები მონათესავე ენებია, ხმოვანთა წარმოთქმისას სამეტეველო ორგანოთა დაყენება ერთმანეთისაგან განსხვავდებული აქვთ. ქართულ ძირითად ხმოვნებს უფრო წინა არტიკულაცია ახასიათებთ, სეანური ძირითადი ხმოვნები კი არტიკულაციურად უფრო უკანა წარმოებისან არიან. ეს დასკვნა სავსებით შეეცერება იმ საერთო არტიკულაციურ თავისებურებას, რომელიც სეანურს ახას იათებს დღეს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 12.3.1947)

დავოშმიბული ლიტერატურა

1. ს ე რ გ ი უ ლ ე ნ ტ ი ი. სეანურ ხმოვანთა პალატოგრამები და რენტგენოგრამები. იბერიულ კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1946.
2. O. Jespersen. Lehrbuch der Phonetik. Leipzig, 1932, S. 162.
3. Л. В. Шерба. Фонетика французского языка. Ленинград, 1939.
4. Г. А. Залога и др. ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები. თბილისი, 1937.
5. В. А. Богородицкий. Фонетика русского языка в свете экспериментальных лингвистических данных. Казань, 1930, стр. 76.

ხელოვნების ისტორია

აზე შემოსიშვილი

ატენის სიონის კილის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის

(ჭარმოადგინა აკად. ნამდვ. წევრმა გ. ჩუბინაშვილმა 15.3.1947)

დამწერლობის ხასიათი, იქნება ეს ხელნაწერი, ფრესკული წარწერა, ქვის ფილაზე ამოჭრილი ოუ ვერცხლის ჭედური ხატის წარწერა,—ისევე, როგორც მხატვრული ნაწარმოების ყოველი ელემენტის შესრულების ხასიათი,—დროს განვითარებაში არსებით ცვლილებებს განიცდის.

გადამწერლის მოთხოვნილება ტექსტი მეტოველისათვის შესახედავად სასიამოვნო გახადოს დამწერლობის დეკორაციულ ხელოვნებათა სფეროს აზიარებს და უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ იმ დარგის სტილისტიკური ეტაპების რიგზე—ეტაპზე, რომლებიც იქნება დამწერლობისადმი მხატვრული მიდგომის შეცვლით დროის სხვადასხვა პერიოდში. გამოვდივართ რა აქედან, უნდა ვითიქროთ, რომ წარწერის მქონე ძეგლის თარიღი უნდა ვმთხვეოდეს როგორც ძეგლის მხატვრულ ბუნებას, ისე წარწერის ხასიათს. ამ ნაშრომის მიზანია დავასაბუთოთ, საჭიროება—ყურადღებით გადათვალიერებულ იქნეს ატენის სიონის კედლის მხატვრობის თარიღი, რომლენადაც სტილისტიკური ხასიათი იმ წარწერათა, რომლებიც ფრესკების ცალკეულ სიუჟეტებს განმარტავს, არ ეთანხმება ამ მოხატულობისათვის ბოლო დროს მკუთხებულ თარიღს—904—906 წ.

აღნიშის სახარება, 897 წლით დათარიღებული ხელნაწერი, გადამწერილია ამ დროისათვის ჩევულებრივი ასომთავრულით. ასოები იმგვარად არის სიტყვენში განლაგებული, რომ მხილველი თითოეულ ასოს ცალ-ცალკე აღიქვამს. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ტექსტი აღვილდე გაიარჩევია. ვერ ვიტყვით, რომ გადამწერი სრულიად უგულებელყოფდეს ასოების შეკავშირების შესაძლებლობას—მას თავისითავდე ევლინება კომპოზიციური ხერხი ერთი ასოს მოთავსებისა შუალედში, რომელიც იქმნება მეზობლად მდგომ მეორე ასოს მოხაზულობით. ზოგჯერ რომელიმ სიტყვა ან სიტყვის ნაწილი შემჭიდროებით არის მოცული, იმის გამო, რომ ამ სიტყვაში შემთხვევით შეჯგუფულია ისეთი ასოები, რომლებიც ლაგდებიან ერთ მჭიდრო, უხარვეზო მწერივად ([1], ცხრ. 25). მაგრამ ხელნაწერის ტექსტის ხასიათი ამ მოვლენებით როდე განისაზღვრება; მთლიანად იგი ხასიათდება, როგორც ზემოთ იყო ნათესავი, სიტყვებში ასოების ფართო განლაგებით, რის გამოც მიიღება მეტაფორულ და აღვილად გასარჩევი ნაწერის შთაბეჭდილება. ასოების მოთავსება ასოებში და აღვილად გარეთვე ის კომპიციური შეერთება ასოებისა, რომელსაც მონოგრამა ეწოდება, სრულიად არ

მოიძოვება ამ ხელნაწერში, საზენაო ასოები ყოველთვის განცალკევებულია, ხოლო სტრიქონების ბოლოებში, სადაც, ვერტიკალზე ტექსტის გათანაბრების მიზნით, ბუნებრივი იყო სხვადასხვა ხერხის გამოყენება, გადამწერი ან სიტყვების სიღრძეს მოვალებს, ან მცირებს სტრიქონის ბოლო სიტყვების ასოების სიდიდეს, ანდა ამჭიდროვებს უკანასკნელი სიტყვის მოხაზულობას ([1], ცხრ. 25). არათუ მონოგრამის იდეა, თვით ერთი ისოს მოთავსება მეორე ისოს მოხაზულობაში, უცხოა გადამწერისათვის, რომელიც ამ მხრივ თვეის წინამორბედთა პრაქტიკის პირდაპირი განვიგრძობია. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ხანმეტი ლექციონარი, რომელიც პალეოგრაფიულ და ენის მონაცემთა საფუძველზე თარიღდება დროთი არა უგვიანეს მე-7 საუკუნის მეორე ნახევრისა [2]. ამ ხელნაწერის ლაბაზი, მსხვრილი ასომთავრული განსაკუთრებით მეაფითა ასოების მოხაზულობისა და მათი ერთურთის მიმართ განწყობის მხრივ. ერთი ისოს კომპოზიციური შეერთება მეორესთან აქაც გვხვდება ([2], გვ. 3), მაგრამ იშვიათად, შემთხვევიდან შემთხვევედდე, არა იმ ხაზგასმულობით, რომლითაც განიჩევიან, როგორც შემდგომ იქნება ნაჩენები, უფრო გვანი დროის ხელნაწერების ტექსტები. ერთი ისოს ჩაწერა მეორე ასოში, ერთი ისოს მიერ მეორის, მასთან მეზობელი ისოს დაპყრობა სრულიად არ გვხვდება ხელნაწერში, რომელსაც განვიხილავთ. მეაფით, მევეთორი შრიიტი იყითხება ადვილად, ძალდაუტანებლიად-წაეთხვა რამდენადმე გაძნელებულია მხოლოდ იმის გამო, რომ სიტყვების გამყოფი ინტერვალები საქმაოდ საზღვრულია არ არის, და სიტყვები შერწყმულია მხილველისათვის ერთ თითქმის განუკვეთელ სტრიქონის ბოლო.

ალინიშვილება ორწერტილით, რომელსაც ზოგჯერ თან სდევს ნიშანი

გუბრუნდებით რა ადიშის სახარების ხელნაწერთა წრეს, ე. ი. მე-9 საუკუნის ბოლოს ხელნაწერებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველ ფრაგმენტში, რომელიც წარმოადგენს იერუსალიმის განჩინების კალას ხელნაწერის ნაწილს (ინახება სეანეთში მესტიის მხარეთმოცდნეობის მუზეუმში), გვხვდება იგვე სისტემა — აქ გხედავთ ტექსტის მსხვილად წერილ სიტყვებში თვითუფლად განლაგებულ ასოებს; ერთიმეორის გვერდით მდგომარე ასოების არახშირ კომპიზიციურ შეთავსებას; სტრიქონის დამთავრებას ორწერტილით; ვერ ვხედავთ რაიმე ნიშანს არათუ მონოგრამისას, არამედ ლიგატურისასაც კი.

უფრო გვიან დროისათვის, ჯრუჟის პირველ ოთხთავზე დაყარებით (გალაწერილია 936 წელს), შეიძლება ვთქვათ შემდეგი: გრძელდება ასოების სიტყვებში თვეისუფალი განლაგება, რის გამო ტექსტი ადვილად გასარჩევია; ადგილ-ადგილ ტექსტი, როგორც წინათ, მჭიდროა, ასოების მიჯრით დაყინების გამო. ამისთანავე ხელნაწერში ზოგჯერ ვხედავთ ერთი ისოს მეორე ასოში მოთავსებას იმ მიზნით, რომ სკეტის ვერტიკალი არ დაირღვეს არეს ფარგლებში სტრიქონის განგრძობის გამო. გარდა ამისა, ეს ხდება იმისათვის, რომ თავიდან იყოს აცილებული სიტყვის ნაწილის მეორე სტრიქონში გადატანა. ასოების შემჭიდროება ხდება ან ზემომოყვანილი ხერხით, ე. ი. ერთი ისოს მეო-

რეშიმოთავსებით, — მაგალითად, ს ან მ თავსცდება ც-ში, — ან მეორე ასოს ატანით სტრიქონით ზემოთ. უკანასკნელ შემთხვევაში მეორე ასო საგრძნობლად არის შემცირებული და ზოგჯერ წინა ასოსთან კომპოზიციურად დაკავშირებული. ასეთი მოვლენა თითქოს გზას უკვლევს მონოგრამის წარმოშობას, მაგრამ ამ 936 წლის ხელნაწერში არც მონოგრამა, არც ლიგატურა არ მოიპოვება.

ჯრუქის პირველი სახარების ტექსტში ვერ ვხედავთ ისეთ სითამაშეს, როგორიც არის ასოს მიერ გადაცდენა საზღვრისა, — შემდგომი სტრიქონის ზევითა ხაზისა, პირიქით, იმ ასოების ლერძები, რომლებიც სტრიქონს ქვემოთ გრძელდება, მთავრდება შემდგომ სტრიქონმდე, ე. ი. მას არ მიაღწევს ([3], ცხრ. 7, ნახ. 14).

პარხალის სახარების ხელნაწერი (S 1453), გადაწერილი 973 წელს, იმ არსებით ცელილებათა მაჩვნებელია, რომლებიც ქართული ხელნაწერის ტექსტის სახემ განიცდა [3]: აქ ვხედავთ უფრო მომცრო ასოებს; სტრიქონებში ასოების სიმჭიდროვეს, როს გამო ტექსტის წაითხვა ზოგჯერ ძნელდება; სტრიქონის დაშთავრებას აბზაცში მოხდენილი ნიშნით; იმავე ნიშნის გამოყენებას იმისათვის, რომ აბზაცის უკანასკნელი მოქლე სტრიქონი გათანაბრდეს ნორმალური სიგრძის სტრიქონებთან; სინგურით შესრულებულ მცირე ჯვრებისა და სხვა ნიშნების ტექსტში გაფანტვას; ტექსტის უკანასკნელ სტრიქონში ასოების ლერძების მანერულ განგრძობას ([3], ცხრ. 13). უკანასკნელ ხერხს მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ იგი შეგნებულიდ იყენებს დეკორაციულ შესაძლებლობას. მოქლე ხანში იგი მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ფურცლიდან მიღებული შიაბეჭდილებისათვის. ზემოხსენებულ პირობებშე დამოკიდებულია ტექსტის მოხდენილობისა და მორთულობის შთაბეჭდილება, უფრო აღრინდელი ხელნაწერების მეტრი და კლასიკური სახისაგან განსხვავებით. მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ იქაც, ე. ი. ხელნაწერში, რომლის გადამწერი დეკორაციულ მხარეს ესოდენ ყურადღებას აქვთ, მონოგრამები მანც არ გვხვდება.

მხოლოდ ახლა, X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის საზღვარზე, ჩვენ სულ ახლო მიველით ნამდვილი მონოგრამის ჯერ ჩასახისა და შემდეგ გამოვლინების მომენტით. საზენით ასოებს შორის მტყიცე მხედველობითი კავშირის შექმნის მოთხოვნილება წარმოშობს ლიგატურის ახალ სახეს: მასში ვიწრო შუალედი ორ მიახლოებულ ასოს შორის შეფერალებულია სალებავით, რაც ხაზს უსაგამის მათ შორის კავშირს (A 190, ფურც. 1 v., 2 v. და სხვ.; A 98, ფ. 139 r.). ერთსა და იმავე დროს გადამწერი, თითქოს შემთხვევით, შეეხება ასოების მონოგრამული შეერთების შესაძლებლობას (A 190, ფ. 4 r; S 1138, ფ. 22 r.), მაგრამ ტექსტში მონოგრამის შეგნებული შეტანა მოხდება კიდევ რამდენიმე ხნის შემდეგ. ასე თუ ისე, მე-10 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჩნდება მონოგრამები. ამ დროის ხელნაწერების მთელ რიგში (კალის ხელნაწ., 35 r, 40 r, და სხვ.; სახარება A 98, 109 r და სხვ.) ვხედავთ მისი გამოყენების პირველ, ჯერ გაუტედავ ცდებს. როგორც ჩანს, ამ ლირსშესანიშანაც ფაქტს ბიზანტიაშიც აქვს ამავე დროს იდგილი. ქართულ ხელნაწერებში მონოგრამის გაჩენა მანც დროის საგმაოდ დიდ შუალედით დაშორებულია იმ მომენტისაგან, როდესაც ის იპ-

ყრობს მთელ სათაურს, ე. ი. იმ მომენტისაგან, რომელიც შეიძლება აღვნიშნოთ, როგორც გადახრა თხზული ასოების შექმნისაკენ.

ამა ატენის სიონის ფრესკულ მხატვრობას რომ მივუბრუნდეთ, დავინა-ხაეთ შედეგის: სიუჟეტების დასახელებაში თუ ტექსტურ სხვა ჩანაწერებში (გრა-გნილების ტექსტი, ცალკეულ პერსონაჟების ტექსტური „ლნიშვნები“) გამოყენებული ასოების მონოგრამული შეერთება, ხოლო ასომთავრულ დანარჩენ სტრი-ქონებში აშკარად ჩანს ასოების მოხაზულობის კომპოზიციური გამოყენების მი-სწრაფება. ამასთან გადამწერი უგულებელყოფს სტრიქონში ასოების განწყობის კლასიკურ ხერხს, ე. ი. თავის თავს ნებას აძლევს ანგარიში არ გაუწიოს იმას, რომელი ასოები უნდა გადასცდეს სტრიქონის ფარგლებს ქვევთევენ და რომ-ლები უნდა მოთვალისეს სტრიქონის ფარგლებში. სტრიქონიდან მქიდარო მხედ-ველი მოთვალით წონასწორი შთაბეჭდილების მისაღებად ის ხან აწევს, ხან დაწევს ასოებს ერთიმეორის მიმართ, და ამას მსხვერპლად წინანდელ მქაცრ დამწერლობის პრინციპებს. გარდა ამისა, არა იშვიათად ის ათავსებს ერთ რომელიმე, ზომით ძალიან შემცირებულ, ასოს შეორე ასოს შიგნით. კომპოზი-ციების წარწერებში, რომლებიც აქვთ სამხრეთ და ჩრდილოეთ აბსიდას, ჩნდება ნამდვილი ჩართულობა (თხზული ასოები), — ტექსტის სტრიქონის გან-ძილებები მომიჯნავე ასოების მონოგრამულად არის შეერთებული.

ამრიგოდ, ატენის ფრესკების წარწერათა სტილისტიკური ხასიათი ძირი-თადად განსხვავდება ასომთავრულის მეტ მე-10 საუკუნის მთელ მანძილზე აღებული გეზისაგან, რაფაგანაც, როგორც ნაჩენები იყო, გამოყენების დიაპა-ზონი მონოგრამისა, რომელიც მხოლოდ მე-10 საუკუნის მესამე შეოთხველის სა-ზღვარზე ჩნდება, საქაოდ ხანგრძლივ ძალიან ვიწრო ჩერება და ყოველ ცალკე შემთხვევებში ტექსტის ორი საზენაო ასოს მარტივი შეერთებით განისაზღვრება. ატენის ფრესკების წარწერებში კი კედავთ ასოების მონოგრამულ შეერ-თებას მთელი სტრიქონის მანძილზე; გარდა ამისა, აქ კედებით ასოზე წვერიან ეკლისიებურ პატარა სამკაულს, რომელიც პირველად ჩნდება მე-11 საუკუნის მესამე შეოთხველის ხელნაწერში (A 87), და წარწერების მთლია-ნად დეკორაციულ სახეს. ეს ჯვალულებს მთელი მოხატულობა საუკუნე-ნა-ხევრით წინ გადავწიოთ, შედარებით იმ თარიღობაზე, რომელსაც მას აქვთვენებენ, ე. ი. დავათარილოთ მე-11 საუკუნის მესამე შეოთხველით და არა უადრეს ამისა. ამავე დასკვამდე მიგვიყვანა წარწერების შემოწმებამ ფრესკულ სხვა მოხატულობაზე, გრძელ ხატებზე თუ ქვაზე.

ეპიგრაფიების სფეროში მონოგრამების გაჩენისა და ჩართულობის ჩასახების მომენტის გადასინჯვა შესაძლებლობას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ მონოგრამის შეგნიბული და ნამდვილი მხატვრული გამოყენება პირველად მე-11 საუკუნის ოცდაათიანი წლების ზღვებშე ჩნდება (წარწერა მცხეთის სვეტიცხოველის ტაძრის გალავნის საზემო შესავალზე [4], გვ. 134, ნახ. 1, დეკორაციული წარწერა სამთავრისის ტაძრის აღმოსავლეთ ფასაზე). უნდა აღინიშნოს შემდეგი: მიუხედავდა იმისა, რომ სამთავრისის წარწერაში ნამდვილი მონოგრამა არ არის, მაინც მისი ასოების შეერთება აღიქმება როგორც დეკორაციული ამოცანა, რო-გორც თავისებური გრაფიკული ნახატი, რომლის სილამაზის გულისათვის თა-

ვისუფლად იცვლება ასოების პროპორციები და მათი მიმართებანი ერთ-ერთონ
და სტრიქონთან. წარწერის გაფორმების ახალ მიღებობას შემობს ასოების
კულებით შემცირა, ატენის სიონის წარწერების ხერხის ინალოგიურად.

საქართველოში არა გვაქვს მე-10 საუკუნით დათარიღებული ფრესკული
მხატვრობა, და დამწერლობის სტილის ეკოლუციის სურათის დადგენა მის მი-
ხედით ისე, როგორც ეს შესაძლებელია ხელნაწერების მიხედვით, ვერ ხერ-
ხდება. ოშების მოხატულობაში, რომელიც 1036 წლით არის დათარიღებული,
მონოგრამული კავშირი ასოებს შორის ჯერ არ არის გამოყენებული. ზემო
კრისის წარწერებიც კი, რომლებიც ცალკეული ასოების მოხაზულობის მხრივ
ნაკლებ კლასიკურია, ვიდრე ოშების წარწერა, ატენის წარწერებს ჩამოუკარდე-
ბა, რამდენიდაც უკანასკნელნი უფრო დეკორაციულია ასოების რთული შეერ-
თების მხრივ. ატენის წარწერები უდაბოდ უფრო ახლო დგას სტილისტიკურად
ბერთუბნის წარწერებთან, ვიდრე ოშების წარწერებთანაც კი. ასომთავრული
მუშავდება წმინდა დეკორაციულობის მიმართულებით, ლამაზ რჩნდემნერად იქ-
ცევა. ასომთავრულის ცხოვრების ახალი ფაზის დასაწყისი ეტაპის ილუსტრა-
ციის ატენის წარწერები წარმოადგენს.

ჭედური ხელოვნების ნაწარმოებთა წარწერებში ასომთავრულის გადახრა
მკაცრი დამწერლობიდან დეკორაციულ ჩართულობამდე (თხზული ასოები)
ჩნდება აგრეთვე არა უგვიანეს მე-11 საუკუნის მეორე მეოთხედისა: იშვანის
ჯგრის (973 წ.) ტექსტის მკაცრი სტილი (ერმაკოვის ფოტო, № 16787 და
16788) რამდენიმე შერბილებულია შემოქმედის (ფოტო № 18013, 18014,
18015) და სალოლაშენის ფირფიტების და მესტიის მესვეტის ხატის (ფოტო
№ 16942, თარიღი—დაბალოებით 1032 წელი) წარწერებში. მხოლოდ ნიკორ-
წმინდის ხატის წარწერაში ვხედავთ მასშრაფებას იმ დეკორაციული სირთუ-
ლისადმი, რომელსაც გვხვდებით ხელოვნების სხვა სფეროებში.

ამრიგად, ლაპიდარული, ფრესკული და ვერცხლზე ჭედური წარწერების
არსებული მასალის ფართო გადასინჯვა ამტკიცებს ზემომოყვანილ დებულებას,
რომ მონოგრამული კავშირი ცალკეულ ასოებს შორის ჩნდება არა უძრეს
მე-11 საუკუნის მესამე ათწლებისა, ხოლო მონოგრამული დამწერლობა უფრო
გვიან, ამ საუკუნის შუაში.

მოხატულობის თარიღის გამოსარკვევად საჭირო მონაცემები ქრისტორულ
გამოხატულებებში უნდა ვეძიოთ. ეს გამოხატულებები, უდავოდ, მოხატულობის
თანადროულია. ქრისტორების რიგი მოხავებულია დასავლეთი აბსიდის ქვემო
რეგისტრში, აბსიდის ჩრდილო კედელზე და ბემაზე, რომელიც მის გაგრძელებას
ჟამდებანს [5]. პირველი ჭაღარაზე რეგისტრი მოხუცი გრძელ, შიგ, ალბათ, საბერო-
ტანსაცმელში. მოხუცი მიბრუნებულია მაკურასეველი ქრისტეს ნახევარტიგუ-
რისაკენ. მოხუცის გამოხატულებას მისდევს გამოხატულება ჭაბუკისა, რომლის
ტანსაცმელი გვაგონებს გიორგი ლაშას ტანსაცმელს მე-13 საუკუნის დასაწყი-
სის ფრესკულ მხატვრობაში. შელექილობის ჩამოცვიერნულმა ნაკრებმა თან ჩაი-
ტანეს მოხატულობის დიდი ნაწილი, არ არის შენაული წარწერაც, რომელიც
ზემო ნაპირზე იყო გავლებული. მისგან დარჩენილია მხოლოდ უმნიშვნელო ნა-
წყვეტი, რომელშიც მყაფიოდ გაინიჩევა სიტყვა: „დიდი“. შემდეგ, უკვე აბსი-

დის კედელზე, სადაც კუთხესთან, ქრისტეს გამოხატულების მსგავსად, მოცე-
ბულია ღვთისმშობლის გამოხატულება, მოთავსებულია გვირგვინისი მეფის
იმპოზანტური ფიგური სახეიმო ტანსაცმელში და გრაფინილით ხელში, რომელ-
საც იგი თათქოს ღვთისმშობლელს მიართმევს. წარწერა ფრიზისებურად გავლე-
ბულია ფიგურათა რიგის მთელ სიგრძეზე. იგი წყდება მხოლოდ შიგადაშიგ,
ფიგურების თავების გამო. წარწერიდან დარჩენილია მხოლოდ ასოების ნაწი-
ლები და ცალკეული მთლიანი ასოებიც. ტექსტის ნაშთების გარჩევად ხერხდება.
მეფის შესრულებულის მარჯვნივ ზევითა სტრიქონში გვითხულობთ: „მამად გიორ-
გი მეფისაი“; მეორეში „შემოწირველი“, მესამეში: „ჯვარ მეწმლის“ (ე. ი.
ჯვარ მეწმლისაც). მეფის შემდევ გამოხატულია კაცი საერო ტანისამოსში,
დაიდემიანი. მას მიჰყავს ბაგშვი, რომლის ხელისაფის ხელი აქვს მოკიდებული
ბაგშვის გამოხატულებიდან დარჩენილია მხოლოდ მუქი შარავანდელის კიდე და
მაჯის ფრაგმენტი. შემდევ ინტერვალია, რომელშიც თავისუფლად მოთავსდე-
ბოდა კიდევ ერთი ფიგურა, მაგრამ მთელ მის მანძილზე კედელს შელესილობა
მთლიანად ჩამოცლილი აქვს. ამ ინტერვალის შემდევ გამოხატულია სანუფრო
ტანისაცმელში ჩაცმული ქალი, რომელიც ფრონტალურად დგას.

ფანჯარა აბსიდის ცენტრში ის საზღვარია, რომლის იქთ ქტიორითა
რიგი არ გადადის. როგორც აღნიშნული იყო, გრძელი, ორსტრიქონიანი, ზოვ-
ჯერ სამსტრიქონიანი წარწერა, ქტიორითა ფიგურებს შორის ფრიზისებურად
გავლებულია კედელზე, ძალიან ცუდად არის ზენაზული. მეფის და მის შემდგომ
გამოხატულ დაიდემიანი კაცის შარავანდელთა შორის წარწერიდან შერჩენი-
ლია მხოლოდ სუსტი ქვალი; არც ერთი ასოს აღდგენა არ ხერხდება. სამაგი-
ეროდ, ამ მეორე პერსონაჟის შარავანდელის მარცხნივ შეაფილოდ იყიდება:
„ძე აშორი“ და შემდევ მთელი რიგი ასოებისა, რომლებიც გაცილებით ნაკლებ
მაცფიოდ ჩანან და რომლებიც შეადგენენ. სიტყვებს: „სუმბატ ძე აშორისი“.
წარწერის ამ ნაწილის მეორე სტრიქონი უიმედოდ გადარეცხილია და ზევი
საღებავის ცალკეული ლაქები ვერა გვშველიან ასოების მოხაზულობის აღდგე-
ნაში. ქვემოთქენ, ბაგშვის შარავანდელსა და კაცის ხელს შუა, ზევითა სტრი-
ქონში ვარკვევთ: -ს „წოლი“ (-წული), ხოლო ქვემოში -სბტის“ (-სუმბატის).
ქალის გამოხატულების მახლობლადაა წარწერის უკეთესად შენაზული ნაწილი.
მასში შარავანდელის მარცხნივ შეაფილოდ იყიდება: „დედოფალი“, ხოლო ამ
სიტყვის წინ — კვალი ასოებისა, რომლების გარჩევა უკვე შეუძლებელია. დედო-
ფლის შარავანდელის მეორე მხრიდან გვითხულობთ ზემო სტრიქონში: „შემო-
წირველი“; მეორე, ქვემო სტრიქონში შერჩენილ ცალკე სიტყვებიდან აბრის
გამოტანა არ ხერხდება.

ფაქტიური მასალა, წარწერების მიერ წარმოდგენილი მათ აბლინდელ
მდგომარეობაში, არის სახელების: „მამად გიორგი მეფისაც“ და „სუმბატ ძე აშო-
რისია“. ვინ არის ეს მეფე, მამა მეფე გიორგისა? მოსხენებიდან, რომელიც 1941
წელს წაიკითხა პროფ. შ. ამირანაშვილმა, გამოღილდა, რომ ეს მეფე არის აბ-
აბაზთა მეფე კონსტანტინე, მამა მეფე გიორგისა (შემაში გამოხატული კაბუ-
კისა). „ქართველ მეფეთა შემდევ გამოსახულია სომხეთის მეფე სუმბატ ძე აშო-
რისა (ტეზერაკლი) ძითურთ (აშორ ერკათით) და სომებთა დედოფალი, გი-

ორგი აფხაზთა მეფის მეულელე. მხატვრობა შესრულებულია სწორედ იქ ღრის, როდესაც ჭონსტადინგ აფხაზთა მეფე განთავისულებულ იქნა ტყვეობიდან სუშმატის მიერ და აფხაზთა მეფეთა და სომქეთა მეფეთა შორის, ნაცვლად მტრობისა, გაიბა ნათესაური კავშირი" [6].

ფაქტების ასეთ განმარტებას ვერ დავთოანხმებით. წარწერების შესრულების ხასიათი, ე. ი. მათი სტრიქი, შესაძლებლობას არ გვაძლევს ტაძრის მოხატულობა XI საუკუნეზე აღრინდელ ღრმას მიეღაუთნოთ. „მაშაა გოორგი მეფი-საი“ უნდა იყოს აფხაზეთის მეუე კრისტიანტინე კი არა, არამედ ბაგრატ IV, გიორგი II-ის მამა. მოხატულობა შესრულებულია ბაგრატ IV-ის სიკედილის, ე. ი. 1072 წლის შემდეგ, ახალგაზრდა გიორგის ტახტზე ასვლისას. დახატვა მეტყვესოან ერთად მისი უკვე გარდაცვალებული წინამორბედისა ქართულ კლის მხატვრობაში არა ერთხელ გვხვდება (შეად. ვარძიის, ბერთანის, ყინცვისის კედლის მხატვრობანი).

მაშასაძემ, ატენის სიონის დასაცლეთი აბსიდის მოხატულობაში წიგნმდევნილია მეფე ბაგრატ IV, ხოლო ჩევნ თავს ნებას ვაძლევთ დავასკვნათ, რომ დაიდემიანი პერსონაჟი, გამოხატული ბაგრატ IV-ის უკან და წარწერაში წოდებული სუმბატ აშოტის ძედ, არის არა სომეთის შეფე ბაგრატიონითა გვარიდნ, არამედ ადგილობრივი მამათველი —ქართველი. სახელგბი „სუმბატ“ და „აშოტ“, როგორც ცნობილია, მარტო სომეთა შორის არ იყო მიღებული მე-10—11 საუკუნეებში. აქვთ, ატენის სიონში, შელესილობის ქვემთ ფუნაზე, უფრო ძველის, ვიდრე კედლის მახატვრობა, არის ოქროს მელნით შესრულებული წიგნწერა, რომელშიც მოხსენებულია მამფალი სუბდის [7].

რადგანაც წარწერაში მოხსენებულია იგივე სახელები, რაც კდლის მხატვრობაში, ორივე შემთხვევაში პირები დაკავშირებულია მმართველთა კლასთან,—შეიძლება ვიტიქროთ, რომ, როგორც უფრო აღრინდეს წარწერაში, ისე გვიან მოხატულობაში, ჩვენ საქმე გვაძეს ადგილობრივ მმართველთა ერთი გვარის სხვადასხვა თაობასთან და რომ გაისახლვრულ ქრონოლოგიურ ეტაპზე ეს მმართველები მამდალებად იშოგებოდნენ.

ამჩინებად, ატენის ფრესკების წარწერათა კელევას მცვევაროთ დასკანამდე, რომ ეს ფრესკები შესრულებულია 1072 წლის შემდეგ, ბაგრატ IV-ის შეილის გოორგი II-ის დროს. ეს ის დასკვნაა, რომელიც სხვა მოსაზრებათა ჩიადაგზე და წარწერათა სტილის გარეშე გამოოინილია აკლემიიკის იყონე ჯავახიშვილის მიერ, რის შედეგად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის რუსთაველის ეპოქის გამოფენა მან დაამშენა ორი მეტის გამოხატულების პირებით ატენის ტაძრის მოხატულობიდან და ონიშნა ეს მეფები როგორც ბაგრატ IV და გოორგი II.

საქართველოს სსრ მცცნიერებათა აკადემია
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი
თბილისი

(ର୍ଯ୍ୟାଲେକ୍ସନ୍ ମନ୍ତ୍ରୀଙ୍କରୁ 20.3.1947)

დამოუმებული ლიტერატურა

1. Материалы по Археологии Кавказа. Том. XIV, Москва 1916.
2. ძველი ქართული ენის ძეგლები 1: ხანიერი ლექციონარი. ფოტოტიპიური რეპროდუქცია, გამოსცა და სიმფონია დაურთო აკაკი შანიძემ, თბ., 1944.
3. ძველი ქართული ენის ძეგლები, 2: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატ-ბერძული ხელნაწერის მხედვით გამოსცა აკაკი შანიძემ, თბ., 1945.
4. Ars Georgica. I, თბილისი, 1942.
5. Le Caucase Pittoresque, dessiné d'après nature par le Prince Grégoire Gagarine. Paris, 1847, planche LVII.
6. საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის სასოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სამუშაო სესიი. 1941 წლის 11—13 ივნის, თებისები, თბ., 1941.
7. სარა ბარნაველი. ატალი წარწერები. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 1—2, თბ., 1946, გვ. 83.

პასუხისმგებელი რედაქტორი აკად. ნ. მუსტელი იშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.8.1947
ბეჭედურ ფორმათა რაოდენობა 5
შეკვ. 517

ანაზღაურის ზომა 7×11
ტიპი 1500
შეკვ. 12078

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა, ა. წერეთლის ქ., № 7

ფუნქცია 5 მან.

დამტკიცებულია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მომსახური
6.2.1947

დებულება „სამართლის სსრ მიცემის გარეთ აკადემიის მოახდის“ შესახებ

1. „მომზეში“ იძებედება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი მიუწა-
ვებისა და სხვა მეცნიერთა წერილები, რომლებშიც მოკლედ გაღმოცემულია მათი გამოცელე-
ვების მთავრი შედეგები.

2. „მომზეში“ შელმძღვანელობს სარდაცვით კოლეგია, რომელსაც იჩინებს საქართველოს
სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამინისტრო კრება.

3. „მომზე“ გამოიდის ყოველთვიურად (თვეს ბოლოს), გარდა ივლის-ავგვისტოს თვესა—
ცალკე წაკეთებად, დააპლობით 5 ბეჭდური თაბაბის მოცულობით თითოეული. ერთი წლის
გველა ნაკეთი (სულ 10 ნაკვეთი) შედეგებს ერთ ტომს.

4. წერილები იძებედება ქრონიკ ენას. იგვე წერილები იძებედება რუსულ ენაზე პარა-
ლელურ გამოცემაში, სადაც წერილს შეიძლება დაერთოს, აეტანის სურვილის მიხედვით; რეზუ-
მე ინგლისურ, ფრანგულ ან გერმანულ ენაზე; რეზუმე შეიძლება შეცვლილ იქნეს თარგმანით
ურთიერთ დასახლებულ ენაზე.

5. წერილის მიცულობა, იღუსტრაციების ჩათვლით, არ უნდა აღმატებოდეს მ გვერდი,
როდენ რეზუმეს ჩათვლით 10 გვერდს. არ შეიძლება წერილების დაყოფა ნაწილებად სხვადასხვა
წაკეთებით გამოსაქვეყნებოდა.

6. მეცნიერებათა აკადემიის ნამუშევრი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წერი-
ლები უშეალოდ გადასცემა დასაბეჭდად მომაბის“ რედაქციას, სხვა აეტორების წერილები კი
იძებედება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ან წევრ-კორესპონ-
დენტის წარმოდგენით. წარმოდგენის გარეშე შემოსულ წერილებს რედაქტორი გვაძასებს აკა-
დემის რომელიმე ნამდვილ წევრს ან წევრ-კორესპონდენტს გასახილევდად და, მისი დადგ-
ბითი შეფასების შემთხვევაში, წარმოსაზღვრავა.

7. წერილები თავისი რეზუმეთი და იღუსტრაციებით წარმოლებებითი უნდა იქნეს
აკტორის მიერ საქსეათ გამატებული დასაბეჭდად. ფორმულები მკაფიოდ უნდა იყოს
ტექსტში ჩაწერილი შემთხვევაში. წერილის დასაბეჭდად მიღების შემდეგ ტექსტში არავითარი
ჟურნალებისა და დამატების შეტანა არ დაიშვება.

8. დამოწმებული ლიტერატურის შესახებ მომაცემის უნდა იყოს შექმნებისდაბულდ
სრული: საჭიროა აღინიშნოს უზრუნველის სახელწოდება, ნომერი სერიისა, ტომისა, წაკვეთისა,
გამოცემის წელი, წერილის სრული სათაური; თუ დამოწმებულია წიგნი, საქალდებულია
წიგნის სრული სახელწოდებისა, გამოცემის წლისა და ადგილის მითითება.

9. დამოწმებული ლიტერატურის დასახლება წერილს ბოლოში ერთვის სიის საშიო;
ლიტერატურულ მითითებისას ტექსტში ან შენიშვნებში ჩანაწერი უნდა იქნეს ნომერი სიის
მიხედვით, ჩასმული კვადრატულ ფრინილებში.

10. წერილის ტექსტისა და რეზუმეს ბოლოს აკტორში უნდა აღინიშნოს სათანადო
ენებები დასახლებად და აღილდებოდა რეკრეაციის შემთხვევაში, დაშესტულებისა, სადაც შესრულებულია წაშ-
რომი. წერილი თარიღდება რეკრეაციის შემთხვევაში დღით.

11. აკტორს ეძლევა გვერდებად შეკრული ერთი კორექტურა მეტადა განსაზღვრული
ვადით (ჩეკულებრივად, არა უმეტეს ერთი დღისა), დადგენილი ვადისათვის კორექტურის წარმო-
ზდგნების შემთხვევაში რედაქტორს უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა, ან დაბეჭ-
დოს იგი აკტორის გინის გარეშე.

12. აკტორს უფასოდ ეძლევა მისი წერილის 50 ამონაბეჭდი (25 ამონაბეჭდი თეთვა-
ული გამოცემიდან) და ერთი ცალი „მოაბის“ წაკეთისა, რომელშიც მისი წერილია მოთავ-
სებული.

სილაბატის მისამართი: თბილისი, ძმის ქ. 8.

СООБЩЕНИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР, т. VIII, № 4, 1947
Основное, грузинское издание